ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2191379

ნომერი: AR1318433

თარიღი : 15.06.2015

გაცემის თარიღი : 15.09.2015

გაცნობის თარიღი : 15.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნონიკაშვილი პ/ნ 01019017946
- თბილისი, თამარაშვილი 13 ო

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1753982
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 6.03.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ნონიკაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს “დეკო”

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404427553

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს “გაზვილი”
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405017716
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურაზ ნადირაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006009730

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2000.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1700.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 15077.5
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 6704.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1919.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 770.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2279.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1688.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1717.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 43061.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 36581.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6480.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 47.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 43.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1100=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10912=5.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 200=0.1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 15 ივნისს №AR1318433 განცხადებით სამსახურს მომართა შპს ,,გაზვილი"-ს მინდობილმა პირმა მოქ. გიორგი ნონიკაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა, შპს "გაზვილი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.06.006.026), მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის №1997435 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, თუმცა ამავე აქტით დაევალა დამკვეთს 70 (სამოცდაათი) დღის ვადაში, 2015 წლის 18 სექტემბრამდე წარმოედგინა: ა) საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი №01.00.216 (მესაკუთრე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და ამონაწერში ვალდებულების ველში დაფიქსირებული ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული პირობების დასადგენად ან გამყიდველის (სახელმწიფო) თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 11 სექტემბერს №AR1318433 განცხადებით კვლავ მომართა მოქ. გიორგი ნონიკაშვილმა სამსახურს და წარმოადგინა საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის და სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოქ. გიორგი ბეჟანიშვილმა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა განსაზღვრულ დროში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს მოქ. გიორგი ბეჟანიშვილს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015წ №1997435 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. 11.09.2015 წ №AR1318433 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.07.2015წ №1997435 ბრძანებასთან ერთად.
4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.